


მთავარი თემა



პრივატიზაციის ფარული ხარჯები და პრობლემა, რომლის მოგვარებასაც სახელმწიფო არ ცდილობს

თამა კაკურიძე 28 თებერვალი 2014 20:44:39

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში გარემოსდაცველები და ექსპერტები უმარავ პრობლემას ხედავენ, რომლის მოგვარებასაც მათვე თქმით, სახელმწიფო ჯერჯერობით არ ცდილობს.



რა ვიცი და რა უნდა ავიცილოთ პრივატიზებული საწარმოების საქმიანობის შესახებ? როგორ აკონტროლებს სახელმწიფო პრივატიზებულ საწარმებს? ვინ სარგებლობს პრივატიზაციით და რატომ? \_ ამ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაცია "შვანე ალტერნატივა", დღეს, სასტუმრო "პოლიდეი ინ"-ში შეხვედრა გამართა, სადაც მსხვილი საწარმო ობიექტების პრივატიზებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ამ საწარმოების კონტროლის მექანიზმების ეფექტურობისა და კაპიტალის რეზერვების სფეროში არსებული გამოწვევები განიხილეს.

როგორც გარემოსდაცველები აცხადებენ, პრივატიზების პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე საზოგადოების

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი კვლავ პრობლემურია. პრივატიზების მარეგულირებელი კანონმდებლობა ობიექტის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების მარეგულირებელი კანონი საქართველომ 1997 წელს მიიღო. კანონის მიღებიდან 2010 წელს მის გაუქმებამდე ცვლილება 34-ჯერ შევიდა. მომდევნო 2010 წელს მიღებულ "სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონში დღემდე 22 ცვლილება შეტანილი, თუმცა ამ ცვლილებებმა პრივატიზების პროცესის უფრო მეტი გამჭვირვალობა ვერ უზრუნველყო. აქ იგულისხმება არა უშუალოდ გაყიდვის პროცესი, არამედ მთელი პროცესი, დაწყებული ობიექტის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, დამატარებული დედებულო გარიგებით და გარიგებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. ცვლილებათა უმრავლესობა პრივატიზებას დაკავშირებული ობიექტების რაოდენობის გაზრდაზე იყო მიმართული.

როგორც შეხვედრისას არასამთავრობო ორგანიზაცია "შვანე ალტერნატივა"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო გუჯარაიძემ განაცხადა, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული მსხვილი კომპანიები გარკვეულ პრობლემას ქმნიან.

"შვანე ალტერნატივას პრაქტიკაში არსებული შემთხვევების ანალიზისას თვალშისაცემია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ვფიქრობთ, მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვან პრობლემას შეუქმნის როგორც ხელისუფლებას, ასევე საქართველოს მოსახლეობას. კონკრეტულად კი, იმ პრივატიზებული საწარმოების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ხშირად შეუძლებელია ამა თუ იმ პრივატიზებული მსხვილი საწარმოს შესაჯუტის იდენტიფიცირება. შესაძლოა, ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით დღეს არ აღიქმება, მაგრამ ასეთი ობიექტის ოპერირებით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში, პრობლემა განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება. "შვანე ალტერნატივა" მსხვილ დამინდურებლებს (საწარმოებს) 2005 წლიდან აკვირდება. მაგალითად, ოქროს მომპოვებელ საწარმო "ზანდელუს", ჭიათურა-მანგანუმს, "ფეროშენდნობა" ქარხანას, ვარციხე-ჰესების კასკადს. პრობლემა ყველა საწარმოს პრივატიზებაში არსებობს. ამასთან, არა გვაქვს ინფორმაცია, პრივატიზებული საწარმოების მიერ საპრივატიზებო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება დია საზოგადოებისთვის, თუმცა, მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დახურულია. ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე "ზანდელუსის" და "კვარციხის" შემთხვევაში, \_ აცხადებს გუჯარაიძე.

მისივე განმარტებით, "ლოგიკური ვითარება შექმნილი თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგების სისტემების პრივატიზების შემთხვევაშიც". კონკრეტულად, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომლითაც წესდება მყიდველის ვალდებულებები (ნასყიდობის პირობები), მაგრამ დახურულია დასყიდობის ხელშეკრულება და ასევე დახურულია პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია", \_ აღნიშნა გუჯარაიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია "შვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელი ირაკლი მაკარაშვილი "გურია ნიუსთან" საუბრისას ამბობს, რომ ხშირ შემთხვევაში ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების მფლობელებს არცოდნის გამო, ამ კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო დავები ვერ ხორციელდება.

"ვინც კვლავ ეხება კანონმდებლობის ხარვეზებს, რაც პრივატიზებასთან დაკავშირებით არსებობს. ყურადღება გამახვილებული იყო იმ საწარმოებზე, რომელთა საქმიანობაც ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან არის დაკავშირებული და რომელთა ფუნქციონირებაც უშუალო ზეგავლენას ახდენს როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ასევე ბიომრავალფეროვნებაზე. ჩვენს პრაქტიკაში, არა თუ ეკონომიკის სამინისტრო, არამედ,



შრომითი უფლებების დარღვევა, სამართლიანი გაფიცვა და ეკოლოგიური




უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ გათავისუფლებული



ყალბი დიპლომები დეკანისა და რექტორის "ხელმოწერით"



"ალდაგი ბისიამ" 4 კლინიკის შექმნის შესახებ დავით სერგეენკო საქმის



ეირიმის მოსახლეობა რუს მაიორს მიმართავს: "თქვენს ჩამოსვლამდე მშვიდად




საკავშილის და უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის ერთობლივი



"უკრაინაში, თავად ქვეყნის შიგნით მიდის საკმაოდ რთული პროცესები"



"ვირიმი ფაქტობრივად ოკუპირებულია"



საჯარო სკოლების დირექტორთა სერტიფიცირების პროცესი




ჭიკაიძე დღეს საერთაშორისო კონფერენციას გახსნის



აფხაზეთის მთავრობა ქიული შარტავას დაზადებიდან 70



"წულუკიანს პირად საუბარში აქვს ნათქვამი-ალტერნატივის იგნორირება



10 081 ბენეფიციარზე 265 766 764 ლარის ოდენობის აგროკრედიტი გაიცა



აგროექსპორტი 51 პროცენტით გაიზარდა

სასამართლოვ კი ვერ არკვევდა ვინ არიან ამა თუ იმ კომპანიის მფლობელები და ხშირად დავებში ჩართვა ვერ ხერხდებოდა. ამასთან, პრობლემა მათ მიერ მომზადებული გარემოს დაცვითი ანგარიშების მიღება. ხშირ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვაღწევდით იმას, რომ ანგარიშს წარმოადგენდნენ, ის უხარისხო იყო. გვექონდა ანგარიშები, რომელიც 15 წლის წინანდელი დოკუმენტიდან კოპირება იყო და ღირებულ ინფორმაციას არ შეიცავდა, რომ გარემოს დაცვის თვალსაზრისით რაიმე სანქცია დაკისრებოდა", \_ აცხადებს მაჭარაშვილი.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი "გურია ნიუსთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ პრივატიზების პროცესში კომპლექსური დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

"რაც ჩვენ პრეზენტაციისას მოვისმინეთ, ძალიან შთაბეჭედავია, იგი, რასაკვირველია, სცილდება გარემოს დაცვის პრობლემებს. ეს არის კომპლექსური დანაშაულის გამოვლინება. პრაქტიკულად, ყველა დიდი საწარმო დარეგისტრირებულია მფლობელის ვინაობის გარეშე. ყველაფერი იმალება ამა თუ იმ ოფშირულ ზონაში, რაც ცხადია, საწარმოს ქმედების სანდოობაც ეჭვის ქვეშ დგება და სიმშვიდის საფუძველს არ ვეძებოვს. წლების განმავლობაში იმდენი დარღვევაა საპრივატიზაციო პროცესში, მნელა ვერ დაინახო სრულიად მკაფიო სისტემური დანაშაულის ნიშნები. კანონში შედიოდა ისეთი ცვლილებები მხოლოდ საქმეს ვნებდა და აშკარა იყო ამა თუ იმ პირის ხეირი. დღევანდელი ხელისუფლება არის სერიოზული გამოცდის წინაშე, როგორ მოიქცევა ის ამჟამად იმ უკანონოების წინააღმდეგ, რომელიც უკვე დამკვიდრებულია ამ ბიზნესში. იმდენად მიუღწევადია ინფორმაცია, არა მხოლოდ საწარმოების მეპატრონეების შესახებ, არამედ, ანგარიშებიც, რომელიც საჯარო უნდა იყოს, რომ რაღაც ცალკეული იმპერიების შექმნის მომსწრენი ვართ. საუბარი იმაზე, რომ გადასახადები შემცირდება და რაღაც შეიცვლება, უსაფუძვლოა, თუ თავად კანონმდებლობა არ გადაიხედა და არ გამოემყვანდა იმ პირთა შემოქმედება, ვინც ამ დღეში ჩააგდო ქვეყანა. დიდი ამბავი დაგვჭირდა, რომ გავგეგო ვინ არიან ტელეკომპანიების მფლობელები, მაგრამ ესეც ისეთივე ბიზნესია, როგორც სხვა დანარჩენი და რატომ არ უნდა ვივლით სხვა საწარმოების მფლობელები? ძალიან ბევრ საწარმოში პერმანენტული გაფიცვებია, მაგრამ რეალურად საწარმოს მფლობელების შესახებ ინფორმაციის უქონლობა სასამართლო პროცესების წარმოებას ხელს უშლის. უნდა იყოს ერთიანი მიგდომა და გავიგოთ, რისი უნარი აქვს დღეს საქართველოს მთავარ პროკურატურას, შეძლება ამ საქმეებს გამოძიებას, თუ მოუწევს 10-15 წლით გადაავადოს ეს საქმეები. ამიტომ, გინდა ხუმრობად მიიღეთ და გინდა დაფიქრების საგნად, მწვანე ალტერნატივასთან ერთად, ვფიქრობ, მწვანე პროკურატურაც უნდა შეიქმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევე მოტყუებულები და ვიღაცის საკუთარი ინტერესების გამო უდიერად განწყობილი დავრჩებით", \_ აცხადებს ცისკარიშვილი.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი შეხვედრა ჩატარდა ფონდი "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" (FOSI) ფინანსური მხარდაჭერით.

Tweet 0, +1 0, Like Share 55

პრივატიზაცია

პოსტის დაბეჭდვას გურიის მუხარებელი უპირებს 2013-10-28 17:36:47



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილი გუბერნატორებს ხვდება. "გურია ნიუსი" გურიის გუბერნატორს ...

მინისტრის განმარტებები 2013-03-14 12:10:57 ექსკლუზიურად "გურია ნიუსის" აკომუნიკაციისთვის



როდის გავა ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე, წინასაარჩევნოდ დაპირებულ სოფლის მეურნეობის...

ახალი მამბალოს კანდიდატურა და "გურია" უფაზა მამბალოს პირობა 2013-12-24 14:51:21



"გურია ნიუსის" ინფორმაციით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს მალე ახალი გამგებელი ეყოლება.

კითხვები მამბალოს პირველ პირს და მის ბარემოსებს \_ რა მოხდა თურქეთში? 2013-04-14 18:25:22



საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებული ტრავმის შესახებ ამ დრომდე დაზუსტებით...

სამხართლო



ემზარ კვიციანი მოსამართლის განაჩენის გასაჩივრებას არ აპირებს



ლაგოდების რაიონში ნარკოდანაშაულის ბრალდებით ერთი პირი

მასალების გამოყენებისას აუცილებელია რედაქციის ნებართვა

57 User Online, 2472172, 1966, TOP.GE, 1171